



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარიამი ხეთაგაშვილი

წევრები:

ავთანდილ კეჭაყმაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
ექსპერტი);

ნინო ბურჯალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

დადი კერესელიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ნანა კუნჭულია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

გურამ ბურდილაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი
ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	228537508

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დედოფლისწყარო
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი არხილოსკალი
საფოსტო ინდექსი	1600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	arkhiloskalo@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	06/06/2024 MES 7 24 0000627713
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 25 და 26 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი არხილოსკალო -1 შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი არხილოსკალო-1 შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი არხილოსკალო-1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს, დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტმა გაუზიარა მიგნებები, რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფს. შედგა ვიზიტის დღის

წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით; ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი ესწრებოდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ გასაუბრებებს.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს პროფორიენტაციასთან დაკავშირებული აქტივობები. 2016 წლიდან სკოლაში მოქმედებს „მოსწავლეთა შრომითი უნარების განვითარების პროგრამა“, სადაც საბაზო საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობს „დეკორატიული ქსოვილების ხელოვნების“ შესწავლას. კერძოდ: თექა, გობელენი, მოჩითვა, აპლიკაციების გადატანა ქსოვილზე და სხვა. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები კოლეჯ „აისთან“. კურსის დასრულებისას მოსწავლეებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები, ჩატარდა ექსკურსიები კოლეჯ „აისში“, სადაც დაწვრილებით გაეცნენ ბავშვები კოლეჯის ინფრასტრუქტურას და სასწავლო პროგრამებს. ამჟამად სკოლაში ინერგება კოლეჯის პროგრამები და სკოლის ბაზაზე მოხდება პროფესიული განათლების განხორციელება. ეს პროექტი გაეროს მიერ არის დაფინანსებული. მათ მიერ შეიქმნა გეგმა. სკოლა თანამშრომლობს უნარების სააგენტოსთან, დაგეგმილია 2 ძირითადი კურსის



განხორციელება: IT- ტექნოლოგიები და „დეკორატიული ქსოვილების ხელოვნება“. ამჟამად საშუალო საფეხურის მოსწავლეები გადიან მოკლევადიან გადამზადების პროგრამებს, რომელსაც აფინანსებს კოლეჯი „აისი“. ესენია IT- ტექნოლოგიები და „ჩითილების გამოყვანა ღია და დახურულ გრუნტში“. მიმდინარეობს სათბურის მონტაჟი სკოლის ეზოში. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ეძლევათ კოლეჯის სერტიფიკატი.



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 170	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- **მეტწილად შეესაბამება** სტანდარტის მოთხოვნებს;

სასასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- **მეტწილად შეესაბამება** სტანდარტის მოთხოვნებს;

სკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- **მეტწილად შეესაბამება** სტანდარტის მოთხოვნებს;



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი
--------------	--------------------	---------



	(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1	„სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ (2026 წლის 10 აპრილამდე) პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება.
ინდიკატორი N3.5.1.4	„სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს“	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2026 წლის 2 აპრილამდე) სკოლამ უზრუნველყოს შენობის სრულად ადაპტირება.
ინდიკატორი N 3.1.2.4	„პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ (2025 წლის 2 სექტემბრამდე) სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისი ხელოვნების, ფიზიკის და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებით უზრუნველყოფა.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს“	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.1.	„შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“	ა) V კლასის კურიკულუმი სახელმწიფო ენაში წარმოადგენს თვეების მიხედვით გაწერილი ტექსტების ცხრილს, ხოლო კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია ძველი სამიზნე ცნებებითა და შედეგებით. VI კლასის კურიკულუმში გამოყენებულია საბაზო საფეხურის ცნებები და შედეგები. ძირითად რესურსად მითითებულია სახელმძღვანელო როდონაიას, ნაკუდაშვილის, არაბულისა და ხუციშვილის ავტორობით, რეალურად კურიკულუმი ეყრდნობა ჩხენკელის, კუხიანიძისა და გორდელაძის სახელმძღვანელოს. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამ შემთხვევაშიც ამუშავებს ძველ სამიზნე ცნებებს. შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2024 წლის 16 სექტემბრამდე) დაკორექტირდეს კურიკულუმები სახელმწიფო ენაში და შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 17/11/2023 წლის N 124/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ბ) შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2024 წლის 16 სექტემბრამდე) დაკორექტირდეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების I-IV კლასების კურიკულუმები, სადაც ასახულია მხოლოდ 1 კომპლექსური



		დავალება, რაც ვერ უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროდუქტიულ პროცესს, არ აძლევს მასწავლებელს საშუალებას ეფექტიანად გაზომოს მოსწავლის განვითარება საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის მიმართულებით.
ინდიკატორი N 2.1.2.5.	„მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს“	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2024 წლის 16 სექტემბრამდე) სახელმწიფო ენაში შეიქმნას V-VI კლასებისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები.
ინდიკატორი N 2.2.1.3.	„შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი“	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2024 წლის 16 სექტემბრამდე) შეიქმნას შეფასების რუბრიკები, რომელიც იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისი. შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები.
ინდიკატორი N 2.2.2.4.	„სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი“	სკოლის დირექციამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2025 წლის 2 სექტემბრამდე) უზრუნველყოს სკოლა ფიზიკური აღზრდის, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის განხორციელებისთვის შესაბამისი კვალიფიციური კადრით.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.1.	„შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“	ა) VII-VIII კლასების სახელმწიფო ენის კურიკულუმი წარმოადგენს თვეების მიხედვით გაწერილი ტექსტების ცხრილს, რომელშიც არ ჩანს მიმართება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან, არა წარმოდგენილი რესურსები და სხვ. ამათგან: VII კლასის კურიკულუმს დანართების სახით ახლავს კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებშიც წარმოდგენილი შვიდ ცნებიდან ძირითადად მხოლოდ სამი ცნება მუშავდება, ამასთან ცნება ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება საერთოდ არ მოიხსენიება. VIII კლასის კურიკულუმში კომპლექსური ტიპის დავალებები გაწერილი არ არის და არც



		დანართების სახითაა წარმოდგენილი. შესაბამისად, არ ჩანს გრძელვადიანი მიზნები, რესურსები და სხვ. IX კლასის კურიკულუმში აკლია ცნებები ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება და სტრატეგიები, ხოლო ეროვნული სასწავლო გეგმის თორმეტი შედეგიდან წარმოდგენილია მხოლოდ რვა. კურიკულუმში რესურსები გაწერილია მხოლოდ კომპლექსური ტიპის დავალებებისათვის, თავად კომპლექსური დავალებები კი წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2024 წლის 16 სექტემბრამდე) დაკორექტირდეს კურიკულუმები სახელმწიფო ენაში და შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 17/11/2023 წლის N 124/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
ინდიკატორი N 2.1.2.5.	„მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს“	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2024 წლის 16 სექტემბრამდე) სახელმწიფო ენაში საბაზო საფეხურისათვის შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე შეიქმნას განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.
ინდიკატორი N 2.2.1.3.	„შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი“	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2024 წლის 16 სექტემბრამდე) შეიქმნას შეფასების რუბრიკები, რომელიც იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისი. შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები.
ინდიკატორი N 2.2.2.4.	„სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი“	სკოლის დირექციამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2025 წლის 2 სექტემბრამდე) უზრუნველყოს სკოლა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ფიზიკის, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის განხორციელებისთვის შესაბამისი კვალიფიციური კადრით.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია



ინდიკატორი N 2.1.2.1.	„შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“	სახელმწიფო ენაში საშუალო საფეხურზე კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოდგენილი არ არის; XI კლასის კურიკულუმში საკითხების გრაფაში გაწერილია კომპლექსური ტიპის დავალებათა იდეები/პირობები; არ არის გაწერილი რესურსები. XII კლასის კურიკულუმი წარმოდგენილია თემატურ-კალენდარული გეგმის სახით. შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2024 წლის 16 სექტემბრამდე) დაკორექტირდეს კურიკულუმები სახელმწიფო ენაში და შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 17/11/2023 წლის N 124/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
ინდიკატორი N 2.1.2.5.	„მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს“	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2024 წლის 16 სექტემბრამდე) სახელმწიფო ენაში საშუალო საფეხურისათვის შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე შეიქმნას განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.
ინდიკატორი N 2.2.1.3.	„შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი“	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2024 წლის 16 სექტემბრამდე) შეიქმნას შეფასების რუბრიკები, რომელიც იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისი. შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები.
ინდიკატორი N 2.2.2.4.	„სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი“	სკოლის დირექციამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (2025 წლის 2 სექტემბრამდე) უზრუნველყოს სკოლა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ფიზიკის, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის განხორციელებისთვის შესაბამისი კვალიფიციური კადრით.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
--------------	------------------	-------



ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სამოქმედო გეგმაში შევიდეს მისიისა და ხედვის შესაბამისი, მიზნებზე ფოკუსირებული აქტივობები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.2.1	„პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად“	ა)სასურველია სკოლის დირექციამ აწარმოოს სამუშაო დროის აღწერის ფორმა „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების ბრძანება N01-15/ნ შესაბამისად ბ)სასურველია სკოლის დირექციამ პედაგოგებთან გააფორმოს უვალო ხელშეკრულებები
ინდიკატორი N3.4.1.6	„სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას“	“პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასურველია სკოლას ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
ინდიკატორი N3.5.1. 3	“სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით”	ბიბლიოთეკის კატალოგში მოცემულ წიგნებს სასურველია მიენიჭოს ნომერი და წიგნებს დაესვას ბეჭედი. ნუმერაციის მიხედვით წიგნები აღინუსხოს კატალოგში.
ინდიკატორი N3.4.1.1	“სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში	სასურველია სკოლამ შეასრულოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის დროს გამოვლენილი ხარვეზები და შეასრულოს რეკომენდაციები



	რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას”	
ინდიკატორი N3.4.1.1	“სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას”	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
ინდიკატორი N3.6.2.1	“სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი”	სასურველია დამრიგებლების შევსებულ იქნას მოსწავლეთა პირადი საქმეები სრულყოფილად შევსება
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.2.1.5	„სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობები წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას“	სასურველია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, სადაც გათვალისწინებული იქნება ინიცირების პროცედურა განხილვის ვადები და პირობები

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.1.1	„კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“	წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ზოგადი სახისაა და მრავლად შეიცავს გზამკვლევის ტიპის ინფორმაციას(მაგალითად მეორე მუხლის მეორე პუნქტი, მესამე და მეოთხე მუხლები, ტექსტის შენიშვნები და ა.შ). სასურველია დოკუმენტი მოერგოს კონკრეტული სკოლის საჭიროებას, კერძოდ 2.1.1.1. ინდიკატორის საჭიროებისათვის სასურველია დაკონკრეტდეს ნაბიჯები და ინსტრუმენტები,



		რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესწავლა, აგრეთვე განისაზღვროს პროცესებზე პასუხისმგებელი პირები;
ინდიკატორი N 2.1.1.2	„კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები“	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში განისაზღვროს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მოსწავლეების და და მშობლების ჩართულობის გზები, მათი მოვალეობები/პასუხისმგებლობები.
ინდიკატორი N 2.1.1.4	„კურიკულუმში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“	კურიკულუმის დანერგვის ყველა ეტაპზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა გაზრდის მიკუთვნებულობის განცდას. მაგალითად სასურველი იქნება დაკონკრეტდეს რა გზებით და პერიოდულობით ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, უკუკავშირის მიწოდება, დაკონკრეტდეს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტრუმენტები(მაგ. ინტერვიუ, ფოკუს - ჯგუფი, ანკეტირება პერიოდულობისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით).
ინდიკატორი N 2.1.2.1	„შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“	ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის რჩევა: სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილში განისაზღვროს სიღრმისეული სწავლების სკოლისეული ხედვა(მაგალითად ორიენტაცია დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებაზე, სასწავლო მასალის ცხოვრებისეულ მოვლენებთან კავშირზე აქცენტი, მრავალფეროვანი ტიპის აქტივობები, საგანთაშორისი კავშირები, მოსწავლის ინდივიდუალურობა აღიარება, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება და ა.შ). ასეთი ხედვის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს პედაგოგებს უკეთ გაიაზრონ სკოლის მოთხოვნები და ასახონ ისინი საგნობრივ კურიკულუმებში. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს აქვს ორი განსხვავებული სახის დიზაინი. ორივე მათგანში იკითხება სტანდარტთან მიმართება, შემაჯამებელი სამუშაო, შეფასების კრიტერიუმები, თუმცა, სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდის



		მიზნით, უფრო ეფექტიანი იქნება კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის იმ ფორმაზე, რომელშიც ნათლად იკეთება თემატური ბლოკი, თემა, საკითხი, სამიზნე ცნება, ქვეცნება, კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევა: სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს საგნობრივი კურიკულუმი კლასების მიხედვით ცალ-ცალკე. თითოეულ საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყოს სკოლის სრული დასახელება; საგანი; კლასი; სასწავლო წელი, საათობრივი განაწილება. სასურველია კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს სტრუქტურაზე. კომპლექსური დავალებებით დამუშავდეს სხვადასხვა ცნება. მაგ: მე-3 და მე-4 კლასის მე და საზოგადოებაში მხოლოდ ერთი ცნება დამუშავდა). სასურველია, საგნობრივი კურიკულუმში კომპონენტი „კომპლექსური დავალების იდეა“ - იდეის განსახორციელებლად საჭირო საკითხს (კომპლექსური დავალების პირობა ბარათში იყოს განთავსებული). სასურველია კურიკულუმის ყველა სვეტი იყოს შევსებული . ტექნოლოგიების ექსპერტის რჩევით: სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს საგნობრივი კურიკულუმი კლასების მიხედვით ცალ-ცალკე. თითოეულ საგნობრივ კურიკულუმში მითითებული უნდა იქნას (იგულისხმება სკოლის სრული დასახელება), კლასი, საგანი, მასწავლებელი/მასწავლებლები, სასწავლო წელი; სასურველია, საგნობრივი კურიკულუმში კომპონენტი „სამიზნე ცნება/ქვეცნება“ მოიცავდეს მხოლოდ სამიზნე ცნებასა და ქვეცნებას, ხოლო კომპონენტი „საკითხი/საკითხები“ - მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეის განსახორციელებლად საჭირო საკითხს ან შესაბამის საკითხთა კლასტერს . მაგ. II კლასი:
--	--	--



		კომპონენტი „სამიზნე ცნება/ქვეცნება“ : პირობითი ნიშნები პირობითი ნიშნები ჩვენს ირგვლივ; ვიზუალური პროგრამირება; პირობითი ნიშნები კომპიუტერულ პროგრამებში კომპონენტი „საკითხი/საკითხები“: პირობითი ნიშნების შემუშავება და მათი საშუალებით ინფორმაციის გადაცემა; პირობითი ნიშნების საშუალებით ბრძანებების გადაცემა და მიღებული ბრძანებების თანამიმდევრული შესრულება. უცხოური ენების ექსპერტის რჩევით: გასათვალისწინებელია, რომ კურიკულუმში აისახოს სტანდარტით განსაზღვრული ყველა თემა, თემაში დამუშავდეს ყველა ცნება და კომპლექსური დავალებები დააფუძნდეს კონტექსტ-მაგალითებზე.
ინდიკატორი N 2.1.2.2	„კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს“	ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის რჩევა: საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადად ჩანს ესგ-თი განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტაცია. სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილში აღიწეროს საგნობრივი ჯგუფის მიზნები/კომპეტენციები, რაც იქნება საერთო ორიენტირი საგნობრივი კათედრებისთვის კურიკულუმის შემუშავებისა და რევიზიის დროს. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: ყველა კლასის კურიკულუმში აისახოს ყოველი თემის შესწავლის შედეგად მიღწეული შუალედური მიზნის წარმოდგენის შემოქმედებითი პროდუქტი ან კომპლექსური სახის შეაჯამებელი დავალება. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტის რჩევით, სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის



		განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა; სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა უცხოური ენების ექსპერტის რჩევით: სასურველია, საათობრივი დატვირთვა მიეთითოს კურიკულუმში. კერძოდ, დოკუმენტის ქუდში წლიური, ხოლო თემებთან -თითოეული თემის. აგრეთვე სასურველია, უფრო მრავალფეროვანი აქტივობების მითითება, უცხო ენების სპეციფიკა იძლევა ამის საშუალებას
ინდიკატორი N 2.1.2.5	“მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს”	სასურველია დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში გაიწეროს შერჩეული სპორტის სახეობების შესაბამისად
ინდიკატორი N 2.2.1.1.	„სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად“	სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევით: გასასწორებელია I -IV კლასებში კურიკულუმებში ქვეცნებები და ქვესაკითხები; IV კლასში კურიკულუმში სასწავლო რესურსები მხოლოდ შუალედური სასწავლო მიზნის დავალებისთვისაა მითითებული; მესამე კლასში უნდა მუშავდებოდეს ცნება პრაქტიკული გრამატიკა, დანართი წარმოდგენილ პირველი კლასის ბარათში გაპარულია სინტაქსი.
ინდიკატორი N 2.2.1.4.	„სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“	ხარისხის ექსპერტის რჩევით: წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ზოგადი სახისაა და დამუშავებას საჭიროებს. მაგალითად, მიზანშეწონილია დოკუმენტში განისაზღვროს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირები და მათი მოვალეობები, რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით ვერიფიკაციის ობიექტის შერჩევის მექანიზმი, ვერიფიკაციის პროცედურები და ინსტრუმენტები, ვერიფიკაციის მიმართულებები, როგორ ხდება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, როცა სკოლაში შესაბამისი სპეციალობის ერთი კადრია და ა.შ.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა



	(საბაზო საფეხური)	
ინდიკატორი N 2.1.1.1	„კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“	წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ზოგადი სახისაა და მრავლად შეიცავს გზამკვლევის ტიპის ინფორმაციას(მაგალითად მეორე მუხლის მეორე პუნქტი, მესამე და მეოთხე მუხლები, ტექსტის შენიშვნები და ა.შ). მნიშვნელოვანია დოკუმენტი მოერგოს კონკრეტული სკოლის საჭიროებას, კერძოდ 2.1.1.1. ინდიკატორის საჭიროებისათვის სასურველია დაკონკრეტდეს ნაბიჯები და ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესწავლა, აგრეთვე განისაზღვროს პროცესებზე პასუხისმგებელი პირები;
ინდიკატორი N 2.1.1.2	„კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები“	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში განისაზღვროს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მოსწავლეების და მშობლების ჩართულობის გზები, მათი მოვალეობები/პასუხისმგებლობები.
ინდიკატორი N 2.1.1.4	„კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“	კურიკულუმის დანერგვის ყველა ეტაპზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა გაზრდის მიკუთვნებულობის განცდას. მაგალითად სასურველი იქნება დაკონკრეტდეს რა გზებით და პერიოდულობით ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, უკუკავშირის მიწოდება, დაკონკრეტდეს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტრუმენტები(მაგ. ინტერვიუ, ფოკუს - ჯგუფი, ანკეტირება პერიოდულობისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით).
ინდიკატორი N 2.1.2.1	„შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“	ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის რჩევა: სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილში განისაზღვროს სიღრმისეული სწავლების სკოლისეული ხედვა(მაგალითად ორიენტაცია დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებაზე, სასწავლო მასალის ცხოვრებისეულ მოვლენებთან კავშირზე აქცენტი, მრავალფეროვანი ტიპის აქტივობები, საგანთაშორისი კავშირები, მოსწავლის ინდივიდუალურობა აღიარება, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების



		განვითარება და ა.შ). ასეთი ხედვის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს პედაგოგებს უკეთ გაიაზრონ სკოლის მოთხოვნები და ასახონ ისინი საგნობრივ კურიკულუმებში. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს აქვს ორი განსხვავებული სახის დიზაინი. ორივე მათგანში იკითხება სტანდარტის მიმართება, შემაჯამებელი სამუშაო, შეფასების კრიტერიუმები, თუმცა სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდის მიზნით, უფრო ეფექტიანი იქნება კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის იმ ფორმაზე, რომელშიც ნათლად იკეთება თემატური ბლოკი, თემა, საკითხი, სამიზნე ცნება, ქვეცნება, კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევა: სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს საგნობრივი კურიკულუმი კლასების მიხედვით ცალ-ცალკე. თითოეულ საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყოს სკოლის სრული დასახელება; საგანი; კლასი; სასწავლო წელი, საათობრივი განაწილება. სასურველია კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს სტრუქტურაზე (რაც ასახული იქნება კათედრის ოქმში). სასურველია, საგნობრივი კურიკულუმში კომპონენტი „კომპლექსური დავალების იდეა“ - იდეის განსახორციელებლად საჭირო საკითხს (მაგ: სტატიის მომზადება მოპოვებულ არტეფაქტებზე დაყრდნობით, კომპლექსური დავალების პირობა ბარათში იყოს განთავსებული). სასურველია კურიკულუმის ყველა სვეტი იყოს შევსებული (2023-2024 სასწ წლის-უკვე განხორციელებული) უცხოური ენების ექსპერტის რჩევით: გასათვალისწინებელია, რომ კურიკულუმში აისახოს სტანდარტით განსაზღვრული ყველა თემა, თემაში დამუშავდეს ყველა ცნება და კომპლექსური დავალებები დააფუძნდეს კონტექსტ-მაგალითებზე.
--	--	--



ინდიკატორი N 2.1.2.2	„კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს“	ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის რჩევა: საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადად ჩანს ესგ-თი განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტაცია. სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილში აღიწეროს საგნობრივი ჯგუფის მიზნები/კომპეტენციები, რაც იქნება საერთო ორიენტირი საგნობრივი კათედრებისთვის კურიკულუმის შემუშავებისა და რევიზიის დროს. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: ყველა კლასის კურიკულუმში აისახოს ყოველი თემის შესწავლის შედეგად მიღწეულ შუალედური მიზნის წარმოდგენის შემოქმედებითი პროდუქტი ან კომპლექსური სახის შეაჯამებელი დავალება. უცხოური ენების ექსპერტის რჩევით: სასურველია კურიკულუმში მითითებული იყოს საათობრივი დატვირთვა, როგორც ქუდში, ასევე თემების მიხედვით. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტის რჩევით, სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა. სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი N 2.1.2.5	“მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს”	ფიზიკური კულტურისა და სპორტის ექსპერტის რჩევა: სასურველია საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები გაიწეროს შერჩეული სპორტის სახეობების შესაბამისად უცხოური ენების ექსპერტის რჩევით, საჭიროა მეტი თვალსაჩინოების გამოყენება და ასახვა კურიკულუმში. ინდ.გეგმის შესაბამისად მოხდეს შეფასების რუბრიკის შექმნა.
2.2.1.3.	„შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი“	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევით, სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, სასურველია კონკრეტული შეფასების რუბრიკები თითოეული კომპლექსური

		დავალებისთვის შეიმუშაოს კათედრამ, რომლის გაცნობაც წინასწარ მოხდება.
ინდიკატორი N 2.2.1.4.	„სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“	ხარისხის ექსპერტის რჩევით: წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ზოგადი სახისაა და დამუშავებას საჭიროებს. მაგალითად, მიზანშეწონილია დოკუმენტში განისაზღვროს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირები და მათი მოვალეობები, რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით ვერიფიკაციის ობიექტის შერჩევის მექანიზმი, ვერიფიკაციის პროცედურები და ინსტრუმენტები, ვერიფიკაციის მიმართულებები, როგორ ხდება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, როცა სკოლაში შესაბამისი სპეციალობის ერთი კადრია და ა.შ.
ინდიკატორი N 2.2.2.3	“კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით”	მიუხედავად იმისა რომ, სკოლაში არსებობს საბუნებისმეტყველო საგნების სამივე მიმართულების - ფიზიკა, ბიოლოგიის და ქიმიის ლაბორატორიები შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიის კაბინეტის სპეციფიკიდან გამომდინარე და აგრეთვე მოსწავლისა და მასწავლებლის უსაფრთხოების მიზნით, ოთახის ვენტილაცია მოითხოვს დამატებითი წესების დაცვას, ამიტომ, სასურველია სკოლამ უზრუნველყოს სპეციალური გამწოვი სისტემის დამონტაჟება.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა



ინდიკატორი N 2.1.1.1	„კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“	წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ზოგადი სახისაა და მრავლად შეიცავს გზამკვლევის ტიპის ინფორმაციას (მაგალითად მეორე მუხლის მეორე პუნქტი, მესამე და მეოთხე მუხლები, ტექსტის შენიშვნები და ა.შ). მნიშვნელოვანია დოკუმენტი მოერგოს კონკრეტული სკოლის საჭიროებას, კერძოდ 2.1.1.1. ინდიკატორის საჭიროებისათვის სასურველია დაკონკრეტდეს ნაბიჯები და ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესწავლა, აგრეთვე განისაზღვროს პროცესებზე პასუხისმგებელი პირები;
ინდიკატორი N 2.1.1.2	„კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები“	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში განისაზღვროს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მოსწავლეების და და მშობლების ჩართულობის გზები, მათი მოვალეობები/პასუხისმგებლობები.
ინდიკატორი N 2.1.1.4	„კურიკულუმში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“	კურიკულუმის დანერგვის ყველა ეტაპზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა გაზრდის მიკუთვნებულობის განცდას. მაგალითად სასურველი იქნება დაკონკრეტდეს რა გზებით და პერიოდულობით ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, უკუკავშირის მიწოდება, დაკონკრეტდეს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტრუმენტები (მაგ. ინტერვიუ, ფოკუს - ჯგუფი, ანკეტირება პერიოდულობისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით).
ინდიკატორი N 2.1.2.1	„შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“	ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის რჩევა: სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილში განისაზღვროს სიღრმისეული სწავლების სკოლისეული ხედვა (მაგალითად ორიენტაცია დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებაზე, სასწავლო მასალის ცხოვრებისეულ მოვლენებთან კავშირზე აქცენტი, მრავალფეროვანი ტიპის აქტივობები, საგანთაშორისი კავშირები, მოსწავლის ინდივიდუალურობა აღიარება, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება და ა.შ). ასეთი ხედვის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს



		პედაგოგებს უკეთ გაიაზრონ სკოლის მოთხოვნები და ასახონ ისინი საგნობრივ კურიკულუმებში. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევა: სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს საგნობრივი კურიკულუმი კლასების მიხედვით ცალ-ცალკე. თითოეულ საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყოს სკოლის სრული დასახელება; საგანი; კლასი; სასწავლო წელი, საათობრივი განაწილება. სასურველია კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს სტრუქტურაზე. სასურველია, საგნობრივი კურიკულუმში კომპონენტი „კომპლექსური დავალების იდეა“ - იდეის განსახორციელებლად საჭირო საკითხს (მაგ: მემუარების შექმნა ოჯახში ცვლილებების და ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, კომპლექსური დავალების პირობა ბარათში იყოს განთავსებული). სასურველია კურიკულუმის ყველა სვეტი იყოს შევსებული (2023-2024 სასწ წლის-უკვე განხორციელებული);
ინდიკატორი N 2.1.2.2	„კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს“	ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის რჩევა: საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადად ჩანს ესგ-თი განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტაცია. სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილში აღიწეროს საგნობრივი ჯგუფის მიზნები/კომპეტენციები, რაც იქნება საერთო ორიენტირი საგნობრივი კათედრებისთვის კურიკულუმის შემუშავებისა და რევიზიის დროს. უცხოური ენების ექსპერტის რჩევით: სასურველია, საათობრივი დატვირთვა მიეთითოს კურიკულუმში. კერძოდ, დოკუმენტის ქუდში წლიური, ხოლო თემებთან -თითოეული თემის. აგრეთვე სასურველია, უფრო მრავალფეროვანი აქტივობების მითითება, უცხო ენების სპეციფიკა იძლევა ამის საშუალებას ფიზიკური აღზრდის ექსპერტის რჩევით, სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა. სასურველია საშუალო საფეხურის



		კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი N 2.1.2.5	“მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს”	ფიზიკური აღზრდის ექსპერტის რჩევა: სასურველია საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები გაიწეროს შერჩეული სპორტის სახეობების შესაბამისად ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: საფეხურის შედეგების მიღწევის უკეთ გასაზომად რეკომენდირებულია შეფასების რუბრიკები გარდა კომპონენტურ-ფუნქციური უნარებისა მიმართულ იქნას სამიზნე ცნებებზე.
ინდიკატორი N 2.2.1.4.	„სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“	ხარისხის ექსპერტის რჩევით: წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ზოგადი სახისაა და დამუშავებას საჭიროებს. მაგალითად, მიზანშეწონილია დოკუმენტში განისაზღვროს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირები და მათი მოვალეობები, რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით ვერიფიკაციის ობიექტის შერჩევის მექანიზმი, ვერიფიკაციის პროცედურები და ინსტრუმენტები, ვერიფიკაციის მიმართულებები, როგორ ხდება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, როცა სკოლაში შესაბამისი სპეციალობის ერთი კადრია და ა.შ.
ინდიკატორი N 2.2.2.3	“კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით”	მიუხედავად იმისა რომ, სკოლაში არსებობს საბუნებისმეტყველო საგნების სამივე მიმართულების - ფიზიკა, ბიოლოგიის და ქიმიის ლაბორატორიები შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიის კაბინეტის სპეციფიკიდან გამომდინარე და აგრეთვე მოსწავლისა და მასწავლებლის უსაფრთხოების მიზნით ოთახის ვენტილაცია მოითხოვს დამატებითი წესების დაცვას,



		ამიტომ, სასურველია სკოლამ უზრუნველყოს სპეციალური გამწოვი სისტემის დამონტაჟება.
--	--	---



VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებულ გეგმაში ასახულ არგუმენტირებულ პოზიციას და გადმოგზავნილ მტკიცებულებებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალის საჯარო სკოლის მისიას შექმნას უსაფრთხო სასწავლო-აღმზრდელობითი გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება პატრიოტიზმზე; თითოეული მოსწავლის თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებაზე; პროფესიულ ორიენტაციაში დახმარებასა და 21-ე საუკუნისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე. ხედვა: 2030 წლისთვის სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა მიაღწევს სკოლაზე გათვლილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას; სკოლა გახდება პროფესიული განათლების პროვაიდერი უახლოეს რეგიონში; მიზანმიმართულად დაინერგება პროფესიული განათლების პროგრამები. მისიასა და ხედვაზე დაფუძნებული ღირებულებებია სკოლის მისიისა და ხედვიდან გამომდინარე სკოლის ღირებულებებია: კეთილგანგანწყობილი და უსაფრთხო გარემო ; ინკლუზიურობა ; გუნდურობა ; გამჭვირვალობა; სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება. დირექციამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის აღმწერი დოკუმენტაცია მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზირების პროცესში: სკოლაში განხორციელებული გამოკითხვის ამსახველი დოკუმენტაცია და მათი ანალიზი, SWOT ანალიზი. მისიასა და ხედვაში მკაფიოდაა ასახული სკოლის მიერ შერჩეული

და სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული პრიორიტეტული მიმართულებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; უსაფრთხო სკოლაზე პასუხისმგებლობა სკოლაში შემავალ ყველა რგოლს ეკისრება, სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადებულია მანდატურის სამსახურის მიერ. „ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შედეგებზე გათვლილი სწავლება, ყველა მოსწავლისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა, ისეთი სასკოლო სისტემის შექმნა, რომელიც მოსწავლეს მისცემს ცოდნის რეალიზაციის უნარ-ჩვევების შეთვისების თანაბარ შესაძლებლობებს, მიუხედავად სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური შეხედულებისა.“ მიზნის ამ ნაწილის მისაღწევად სკოლა იყენებს ფორმალურთან ერთად არაფორმალური განათლებას. მაგალითად, სკოლა 2021 წლიდან ახორციელებს სასკოლო პროექტებს, სადაც პრიორიტეტული თემებია: ჯანსაღი ცხოვრების წესი და გარემოს დაცვა. სასკოლო პროექტის ამოცანების განხორციელებისას ერთი საერთო მიზნის გარშემო ერთიანდება სასკოლო საზოგადოება, სკოლაში შექმნილია ნორჩ ისტორიკოსთა და ეკო კლუბები, მკითხველთა კლუბი და საგნობრივი წრეები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ არაფორმალური განათლების მიმართულებით, წერენ და ახორციელებენ საგრანტო პროექტებს, მონაწილეობენ კონკურსებში. სკოლის ეკო კლუბი არის წინა წლების ნახევარფინალისტი, სასკოლო კონკურსის- „ნიკო კეცხოველის პრემია“-ამრიგად, სკოლაში იქმნება პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებები რევიზირებული ვერსია. ასევე სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავების პროცესში ხელმისაწვდომი იყო სასკოლო საზოგადოებისათვის. დირექციასთან გასაუბრებისას ექსპერტებს მოგვეწოდა ინფორმაცია მშობლებთან ჩატარებული შეხვედრების შესახებ. შეხვედრებზე დადასტურდა სასკოლო საზოგადოების მიერ აღნიშნული დოკუმენტების განხილვა, ამდენად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულიად მისაღები და გაზიარებულია თითოეული წევრისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; ის განთავსებულია სასკოლო სივრცეში ასევე სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის სახელწოდება, სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალის საჯარო სკოლა, შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის 448-ე ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიული პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. კლუბების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
5. სასკოლო პროექტების რეფლექსიები;
6. სამუშაო ჯგუფის ოქმი ფილოსოფიის პროექტის შემუშავებაზე;
7. სკოლის ფილოსოფიის რევიზიის პროცესში გამოყენებული კითხვარი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 18.03.2024 წლის N2-11 ბრძანებით. მეთოდოლოგია მოიცავს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსიფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მასში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლის ფილოსოფიის, გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან და შეიცავს მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს. ის ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; თუმცა ზოგიერთი აქტივობა ატარებს ფორმალურ და ტექნიკურ ხასიათს, აღწერილია კანონმდებლობით გაწერილი სავალდებულო აქტივობები. ამიტომ **სკოლას მიეცა რჩევა**, სამოქმედო გეგმაში შევიდეს მისიისა და ხედვის შესაბამისი, მიზნებზე ფოკუსირებული აქტივობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლამ წარმოადგინა ინდიკატორის მოთხოვნათა შესაბამისი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
2. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; დოკუმენტში აღწერილია მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ქვემოთ მოცემული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; სკოლამ წარმოადგინა მეთოდოლოგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება. მონიტორინგის ჯგუფი მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლის დირექტორს შედეგებს წარუდგენს სექტემბრის თვეში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ავტორიზაციის ახალი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად 2023 - 2024 სასწავლო წლიდან ამოქმედდა სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია ინფორმაციის გაცემისა და გასაჯაროების წესები. სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გამოქვეყნებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში შეიქმნა ახალი 2023 - 2030 წლის სტრატეგიული გეგმა. მონიტორინგისა და შეფასების დასკვნა გამოყენებული იქნება სკოლის ახალი საჭიროებების გამოსავლენად და ახალი სტრატეგიების დასადგენად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული; სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციები. სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის მართვის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. დირექციას წარმოადგენს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას ემსახურება და ფარავს სკოლაში მიმდინარე მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს/პირს, პასუხისმგებლობა ეკისრება აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. სტრუქტურული ერთეულების/პირების ყოველდღიური საქმიანობა მიმართულია მისიის, ხედვისა და სამოქმედო გეგმის შესრულებისკენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრუქტურა

2. თანამდებობრივი ინსტრუქციები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები: შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა დამტკიცებულია 7 სექტემბრის N3 სამეურვეო

საბჭოს სხდომაზე. სასკოლო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტს. შინაგანაწესი თანხვედრაშია შრომის კოდექსთან და სკოლას ეხმარება განსაზღვროს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, აღრიცხოს სამუშაო დრო. დააწესოს შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი. წახალისოს დასაქმებული და/ან მოსწავლე შესაბამის დროს. აღნიშნული წესები გატარებულია პერსონალთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაშიც. მაგალითად, სკოლა პერსონალს უქმნის მუშაობისთვის აუცილებელ პირობებს, დროულად უხდის დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღაურს, უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო გარემოთი, უზრუნველყოფს დასაქმებულის დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში დახმარების გაწევას, აცნობს სკოლის შინაგანაწესს და მასში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სადაც დაწვრილებით არის გაწერილი პერსონალის მოზიდვის, მართვის, ახალი კადრის ადაპტაციის, თანამშრომელთა მოტივაციის პროცესები კანონმდებლობის შესაბამისად. **სკოლას მიეცა რჩევა**, ა) აწარმოოს სამუშაო დროის აღწერის ფორმა „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების ბრძანება N01-15/ნ შესაბამისად. ბ) სასურველია სკოლამ პედაგოგებთან გააფორმოს ხელშეკრულებები უვადოდ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სკოლის შინაგანაწესში არის გაწერილი მუხლები, სადაც მოცემულია ინფორმაცია დასაქმებულის სამუშაო კვირის ხანგრძლივობის, სამუშაო დროის აღრიცხვის, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადების ან გამოუცხადებლობის შესახებ. სკოლას უზრუნველყოფილი აქვს დასაქმებულის სკოლაში არყოფნის შემთხვევაში სხვაზე ფუნქციების გადანაწილების პოლიტიკა. კერძოდ: დასაქმებული ვალდებულია ორი კვირით ადრე აცნობოს სკოლას გაცდენის შესახებ. რა შემთხვევაშიც სკოლა წინასაწარ ახდენს გაკვეთილების ცხრილში ისეთ ცვლილებას, რომ ეს უარყოფითად არ აისახოს სასწავლო პროცესზე. სკოლაში პერსონალის მხარდაჭერა ხდება საჭირო ინტერვენციების დაგეგმვითა და განხორციელებით. თუ რომელიმე მასწავლებელმა გააცდინა სკოლა გარკვეული მიზეზების გამო დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე იწერება ბრძანება საათების გადანაწილებისა და შესაბამისი ანაზღაურების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ იმ საგნის მასწავლებელი მხოლოდ ერთია სკოლაში სკოლა იწვევს პედაგოგს სხვა სკოლიდან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; სკოლაში შესაბამისი კადრების მოზიდვა და ვაკანტურ ადგილებზე მიმდინარეობს დადგენილი წესის მიხედვით. მასწავლებლის ვაკანსიის შემთხვევაში ცხადება შიდა ან/და ღია კონკურსი. ღია

კონკურსის შემთხვევაში განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნებულია საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე - www.teacherjobs.ge-ზე. ტარდება მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის/სპეციალურ მასწავლებლის კონკურსის შემდეგი ეტაპები: კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა; შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება კონკურსის შედეგების განსაზღვრა. შესაძლებელია სკოლის მიერ განისაზღვროს კონკურსის დამატებითი ეტაპი. კონკურსის ორგანიზების მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც განიხილავს ვაკანტურ საათებზე შემოსულ განაცხადებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. გადარჩეული განაცხადებიდან კანდიდატის შერჩევა ხდება გასაუბრების საშუალებით. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ყველა თანამშრომლის პირად საქმეში წარმოდგენილია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას ჰყავს 19 მასწავლებელი, 1 სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, ცეცხლფარეში, მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, დარაჯი, სკოლის ექიმი, დამლაგებელი. სკოლას ჰყავს 16 უფროსი მასწავლებელი; 2 წამყვანი მასწავლებელი; 1 მასწავლებელს არ აქვს სტატუსი. სკოლის ხელოვნების, ფიზიკის და სპორტის მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას კონკურსის წესით აყვანილი ჰყავს ხელოვნების მასწავლებელი, რომელიც არის ბიოლოგიის უფროსი მასწავლებელი და მისი დამატებითი სპეციალობა გახლავთ კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა. ხელოვნების მასწავლებელი დარეგისტრირებულია მასწავლებლის საკვალიფიკაციო გამოცდაზე. სკოლას მასთან გაფორმებული აქვს ერთწლიანი ხელშეკრულება. ფიზიკის საათები გადანაწილებული აქვს მათემატიკისა და ქიმიის მასწავლებლებზე. სკოლას აღნიშნული საგნების მასწავლებლების ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსიები. ვაკანსიები გამოცხადებულია ამ დროისთვისაც. სკოლის დირექცია შესაბამისობის გეგმით აცხადებს, რომ 2025 წლის 16 2 სექტემბრამდე უზრუნველყოფს სკოლას კვალიფიციური მასწავლებლებით. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. ხდება კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. სკოლას გუნდური მუშაობის გაძლიერების მიზნით განხორციელებული აქვს პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო ყველა კათედრის გაერთიანებული მუშაობა.

დამრიგებლები, პროექტის მართვის ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა კათედრის მასწავლებლებისგან შედგება ორგანიზებულად მუშაობდნენ. კათედრის სხდომებზე, ურთიერთდასწრება, აზრის გაზიარება. USAD-ის მიერ ორგანიზებულ -ლიდერი მასწავლებლების პროგრამის ფარგლებში სკოლიდან ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის 3 მასწავლებელი, რომლებიც ტრენინგზე მიღებულ ინფორმაციას გადასცემდნენ კოლეგებს. ხორციელდებოდა ვორქშოფები, ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის შინაგანაწესში დაწვრილებით არის გაწერილი პერსონალის აღიარებისა და წახალისების ფორმები. სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა წარმატებები, პროექტები, განხორციელებული ღონისძიებები და სხვა იტვირთება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. წლის განმავლობაში, თუ მასწავლებელმა თავი გამოიჩინა განსაკუთრებულად, ან სკოლის წარმატებისთვის პროექტი დაწერა, დირექტორი ბრძანებით უცხადებს მადლობას, დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. კონკურსის მასალები
3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
4. ხელშეკრულებები
5. თანამშრომლების პირადი საქმეები
6. ბრძანება საათების გადანაწილების შესახებ
7. ბრძანება საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ
8. პერსონალის წახალისების მასალები (ბრძანება; სიგელი)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. წევრების მიერ ხდება გაკვეთილებზე დასწრება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, რის შემდეგაც ხდება უკუკავშირის მიწოდება. ხარისხის მართვის ჯგუფი ორიენტირებულია თითოეული მასწავლებლის მხარდაჭერაზე. უკუკავშირიდან გამომდინარე ხდება დირექცია მასწავლებლებს სთავაზობს აქტივობებს. დირექციის მხარდაჭერით მასწავლებლი ირჩევს გასავლელი ტრენინგიდან სასურველ მოდულს, რაც ემსახურება მასწავლებლის პროფესიულ ზრდას. ტრენინგებს ესწრება სკოლის ბუღალტერიც, რომელიც მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას და ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს, ახალ სტანდარტებს და სხვა სიახლეებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, მაგრამ შემუშავებული გეგმა ამ დროისთვის სკოლას არ აქვს. პირველადი ავტორიზაციის ეტაპისთვის ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; სკოლის დირექცია პერსონალს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ტრენინგების შესახებ, ამარაგებს მეთოდური თუ სხვა სახის ლიტერატურით. სკოლას აქვს გამართული კომპიუტერული

ლაბორატორია, მუდმივი ინტერნეტით და მასწავლებლებს აძლევს საშუალებას ნებისმიერ დროს დაესწრნენ ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს. სამმა მასწავლებელმა წარმატებით ჩააბარა წამყვანი/მენტორი მასწავლებლის გამოცდა. ორმა მასწავლებელმა წარმატებით წარადგინა პორტფოლიო და მიენიჭათ წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც გაწერილია თანამშრომლის ინტეგრაციის ეტაპები კონკურსის გამოცხადებიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე. მაძიებელ მასწავლებლებს სკოლის დირექტორის ბრძანებით ენიშნება ტუტორი, რომელიც ეხმარება სამოქმედო გეგმის, გაკვეთილის გეგმის შედგენაში, სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვასა და გაანალიზებაში, აძლევს უკუკავშირს. სკოლაში გვყავდა 2 მაძიებელი მასწავლებელი, რომლებმაც ჩვენი დახმარებით წარმატებით აიმაღლეს სტატუსი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. მასწავლებლის ინიციატივით ჩატარდა სკოლათაშორისი კონფერენცია. სკოლის პედაგოგებისთვის იყო ურთიერთთანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების კარგი გამოცდილება. სკოლის შინაგანაწესში მოცემულია პერსონალის წახალისების ფორმები: ა) ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლაში მასწავლებლებისათვის ცხადდება მადლობა გაწეული სამუშაოებისთვის, საერთო შეხვედრებზე, პედაგოგობაზე და მოსწავლეთა სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების დროს. წარმატებული საქმიანობის მხარდასაჭერად და წასახალისებლად სკოლის დირექცია მართავს კორპორატიულ შეხვედრებს და ექსკურსიებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
2. პერსონალის წახალისებასთან დაკავშირებული მასალები (ტრენინგის გავლის დამადასტურებელი ცნობები, კონფერენციის მასალები)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს; სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარების პოლიტიკა, რომლის მიზანია სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმების განხორციელება სკოლის მიერ,

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. მმართველობითი პროცესებია ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა, ძირითადი პროცესებია ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა ხოლო დამხმარე პროცესებია ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; და სხვა. დოკუმენტში დაწვრილებითაა გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის წესი : შეფასების განხორციელება, შემოწმება, განვითარება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში: ხარისხის მართვის პოლიტიკა, შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიადაც აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლის მმართველობითი პროცესები: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესები: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესები: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება , კარიერული განვითარება; ყველა პროცესი აღწერილია დაგეგმე, განხორციელე, შეაფასე, განავითარე (PDCA) - ციკლის მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლამ წარმოადგინა ბრძანება საჯარო სკოლის გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ 23/07/2024 წლის N2-68. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელშიც მოცემულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები. სკოლაში მოქმედებს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში ჩართული იქნება შესაბამის პროცესებში. დისციპლინარ კომიტეტში საქმისწარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს:

მოსწავლის, მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის, შესაბამის სკოლაში დასაქმებული პირის, აგრეთვე, იმ პირის წერილობითი მიმართვა ან ინფორმაცია, რომლის სამსახურებრივ მოვალეობასაც წარმოადგენს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა; ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
2. შინაგანაწესი
3. ბრძანება საჯარო სკოლის გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ 23/07/2024 წლის N2-68

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საკითხები. სკოლაში ტარდება მშობელთა კრებები, სადაც ხდება განათლების სფეროს სიახლეების გაცნობა და მათგან უკუკავშირის მიღება. სკოლა უკუკავშირის იღებს გამოკითხვის საშუალებით (მშობლები ავსებენ კითხვარს). შექმნილია თითოეული კლასის მშობელთა ინტერნეტ ჯგუფები, რომელსაც ხელმძღვანელობენ დამრიგებლები. სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფების მეშვეობით მშობლებს გადაეცემათ ინფორმაცია სკოლაში არსებული რეგულაციების, მშობელთა კრებების, ღია კარის დღეების, ექსკურსიების, სასკოლო ღონისძიებების შესახებ. ჯგუფებში ინფორმაციის გავრცელება იძლევა სწრაფი უკუკავშირის მიღების საშუალებას. სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან ურთიერთობის დებულება. ორ კვირაში ერთხელ ადმინისტრაციული მენეჯერი გეგმავს

საერთო შეხვედრებს მასწავლებლებთან მიმდინარე პროცესების განხილვის მიზნით და საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში მასწავლებლებთან ერთად ჩართულები არიან მშობლები და მოსწავლეები. სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელშიც გაერთიანებულნი არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. როგორც ზეპირსიტყვიერად ასევე კითხვარების საშუალებით გამოთქვავენ თავიანთ მოსაზრებებსა და მოთხოვნებს. მშობლები ჩართულები არიან შვილებთან ერთად სოციალურ პროექტებში. დირექცია ღიაა მოისმინოს კოლეგების, მშობლების, მოსწავლეების აზრი და მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს მათი ინიციატივების განხორციელებას. მშობლებთან კომუნიკაციისთვის, მათი ჩართულობის გაზრდისთვის უფრო აქტიურად გამოიყენება ელექტრონულ ჟურნალი, ფეისბუქ გვერდი. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლს ჩართული იყო ევროსაბჭოს საპილოტე პროექტში „დემოკრატია იწყება სკოლიდან“. პროექტი ითვალისწინებდა მოსწავლეთა როლის გაძლიერებას სასკოლო ცხოვრებაში, გადაწყვეტილებების მიღებაში. აქტიურად იყვნენ ჩართული მშობლებიც. ჩაუტარდათ ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა საინტერესო ღონისძიებები მშობლების მონაწილეობით: გამოფენა-გაყვიდვა, მხიარული სტარტები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობლებთან ურთიერთობის(კომუნიკაციის) დებულება
2. სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღებისას გამოყენებული კითხვარები
3. სოციალური ქსელი
4. ვებ გვერდი
5. თვითმმართველობის დებულება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, რომელიც დირექტორის ბრძანებით არის დანიშნული, გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება და ყოველთვიურად ახარებს ანგარიშს განხორციელებული აქტივობების შესახებ. სკოლის შენობის გარე პერიმეტრი და დერეფნები კონტროლდება სათვალთვალ კამერების საშუალებით; სკოლაში დამონტაჟებულია 5 შიდა და 5 გარე ვიდეოთვალი. დასვენებებზე ყველა სართულზე მორიგეობენ მასწავლებლები; სამასწავლებლოში გამოკრულია მორიგეობის განრიგი; გვყავს ღამის დარაჯი. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლის დერეფნებში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ყველა სართულის დერეფნებში დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები და სხვა სახანძრო ინვენტარი. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ცეცხლმაქრების გადატვირთვა ხდება ყოველწლიურად. სკოლაში შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის არ იყო შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლის დირექციამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად გადმოაგზავნა საგანგებო სიტუაციების მართვის გაგეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს სამედიცინო კაბინეტი საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება. ამისათვის ყოველ დილით ხდება დამრიგებლის მიერ დირექციისთვის მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამას გარდა დამრიგებელი ამყარებს კომუნიკაციას მშობელთან, იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელმა არ შეატყობინა დამრიგებელს მოსწავლის გაცდენის შესახებ. სკოლას არ აქვს შენობის მდგრადობის დასკვნა. სკოლას აქვს წერილი გაგზავნილი სსიპ სამხარაულოს ექსპერტიზის ბიუროში. სკოლამ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სკოლამ ასევე წარმოადგინა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის აღმოფხვრის თხოვნით.

სკოლის დირექცია შესაბამისობის გეგმით აცხადებს, რომ 2026 წლის 10 აპრილისთვის მოიპოვებს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას.

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას; პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს სამედიცინო კაბინეტი საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით. ასევე სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე ნებისმიერ პირს საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციურ დახმარებას აღმოუჩენს. სკოლამ წარმოადგინა ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება და სკოლის ექიმის პირადი საქმე. მოხდა ექიმის კაბინეტის ვიზუალური დათვალიერება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; მორიგე მასწავლებლები, დამლაგებლები მუდმივად აკვირდებიან დასვენებებზე მოსწავლეთა გადაადგილებას. სკოლის შენობაში შემოსვლა უცხო პირებისთვის იკრძალება. პასუხისმგებელი პირი ატყბინებს დირექტორს/ მოადგილეს ვიზიტორის შესახებ, მონაცემები შეაქვს სპეციალურ ჟურნალში. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ტელეფონის ნომრები მაგალითად 112, ცხელი ხაზის ნომერი და სხვა. შინაგანაწესში დაწვრილებითაა გაწერილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. ასევე მრჩეველთა საბჭო შეიმუშავებს შესაბამის რეგულაციებს. სკოლამ წარმოადგინა ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. რეგულარულად ხდება მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების დადგენა. დამრიგებლების და დირექციის მხრიდან მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობა ინტენსიური და თანამშრომლობითია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; მოწესრიგებულია სველი წერტილები, საკლასო ოთახები, საპირფარეშოები და სკოლის მთელი სივრცე. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი (მტუკი), სკოლის ექიმი და დამლაგებლები. სკოლის მტუკი აწვდის ინფორმაციას დირექტორს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსის შესახებ. ეს ინფორმაცია აისახება სკოლის ბიუჯეტში და შემდეგ ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით ხდება სკოლის მიერ ამ რესურსების შეძენა. სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი წყალმომარაგებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვა ხდება დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე. სკოლის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია: ა) დაამუშაოს მხოლოდ ის მონაცემი, რომელიც აუცილებელია მისი ფუნქციების შესასრულებლად. წესში დაწვრილებითაა გაწერილი ვის მონაცემებს ამუშავებს სკოლა, რის საფუძველზე და სხვა პასუხისმგებლობები. დირექტორის ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. სკოლის ელექტრონულ ბაზაზე წვდომა შეზღუდულია. დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი სააქმეები ინახება ადმინისტრაციის სივრცეში, სადაც წვდომა შეზღუდულია. სამეურვეო საბჭოს არჩევნების დროს მასწავლებლების და მშობლების პირადი ნომრები ამოღებულია სიიდან. სკოლის სოციალურ გვერდზე სურათები მშობლის თანხმობით ქვეყნდება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სკოლას მიეცა რჩევა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლა მუშაობს ლიცენზირებული პროგრამებით. საქმისმწარმოებელის, ბუღალტრის, დირექტორის კომპიუტერებს აქვთ ინდივიდუალური პაროლები. მასწავლებლები თავიანთ გვერდებზე შედიან ინდივიდუალური პაროლებით. ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს და საქმისმწარმოებელს. ბაზებში არსებული მონაცემების შემოწმება/გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, მაგალითად: მოსწავლის მობილობის დროს ან მასწავლებლის საათობრივი დატვირთვის შემოწმების დროს. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება დაცულ ოთახში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

8. სკოლა პირველადი ავტორიზაციის პერიოდში არ ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს არიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. პირველადი ავტორიზაციის ეტაპისთვის **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
2. ექიმის ხელშეკრულება

3. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ანგარიში
4. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი
5. სამხარაულის ექსპერტიზის ბიურს და ინფრასტრუქტურის სააგენტოდან კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; არხილოსკალოს საჯარო სკოლას აქვს 1 შენობა, რომლის ნაწილი აშენებულია გასული საუკუნის 60-იან წლებში, ხოლო მეორე, ნაწილი -80-იან წლებში. სკოლა არის ნაწილობრივ რებილიტირებული. ძველი შენობის პირველი სართული მუნიციპალიტეტს გადაცემული აქვს უსასყიდლო იჯარით საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისთვის. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს არ აქვთ შეხება სკოლის მოსწავლეებთან. ბაღის და სკოლის ტერიტორია გამიჯნულია. გამიჯნულია ეზოც. სკოლას აქვს ყველა რესურსი, რათა სასწავლო პროცესი შეუფერხებლად წარმართოს. ინდივიდუალური სასწავლო მერხები ასაკის შესაბამისად, დაფები, რუკები, მიკროსკოპები, გლობუსი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სპორტ დარბაზი, სააქტო დარბაზი. ასევე უახლესი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი, სადაც მიმდინარეობს მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების კურსები. პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია ლეპტოპით, პრინტერით, სასწავლო რესურსებით. სკოლის შენობაში არის ადაპტირებული შიდა საპირფარეშო. სკოლა ახორციელებს რესურსების გაუმჯობესებას, შეკეთება-განახლებას, ეს პროცესი ასახულია დაწესებულების ფინანსურ გეგმაში-ბიუჯეტში. სკოლას აქვს გარე საპირფარეშოები და დამხმარე შენობები, მათ შორის შეშის საწყობი. სკოლა დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, აქვს შებამისი ამონაწერი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; სკოლაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერების ოთახი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის სასწავლო მიზნებით გამოყენებისთვის. ყველა მოსწავლე გაკვეთილზე სარგებლობს ინდივიდუალურად კომპიუტერით. მოსწავლეს შეუძლია ნებისმიერ დროს ისარგებლოს კაბინეტით. ისტ-ის გაკვეთილების განრიგი გაკრულია კარებზე; 30 შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია როგორც სასწავლო, საგანმანათლებლო, ისე მხატვრული ლიტერატურით. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად სარგებლობენ ბიბლიოთეკის ფონდით. სკოლის ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, კატალოგი, სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. სამასწავლებლო, სადაც მასწავლებლებს აქვთ ლეპტოპით სარგებლობის საშუალება; შიდა სპორტდარბაზი და გარე სპორტული მოედანი გაკვეთილების შემდეგ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სპორტული ღონისძიებებისთვის. სასკოლო ღონისძიებები ხორციელდება როგორც შიდა სივრცეში, ასევე ეზოში. გარე სპორტული მოედანი სკოლას გადაცემული აქვს მუნიციპალიტეტისთვის, რომელმაც მოახდინა მისი რებილიტაცია; სკოლას უფლება აქვს შეუზღუდავად სარგებლობის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს შენობის მეორე სართულზე. იგი აღჭურვილია კომპიუტერით, მხატვრული და სასწავლო ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებით(გაზეთები, ბროშურები). მხატვრული ლიტერატურის შეძენა რამდენჯერმე განხორციელდა მასწავლებლების მიერ დაწერილი პროექტებით. ბიბლიოთეკა ღიაა სწავლის პერიოდში და ნებისმიერ მსურველს შეუძლია სარგებლობა. ბიბლიოთეკაში გვაქვს გამოფენილი თემაზე შესრულებული მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლამ წარმოადგინა კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა არ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშოები. სკოლის შესასვლელი არ საჭიროებს პანდუსს, თუმცა სკოლის სართულებზე გადაადგილებისთვის სკოლა საჭიროებს ადაპტაციას.

სკოლა შესაბამისობის გეგმით აღნიშნავს, რომ შენობის სრულად ადაპტირებას მოახდენს 2026 წლის 2 აპრილისთვის. სკოლას დაწყებული აქვს პროცესი. პანდუსის დამონტაჟების შესახებ თხოვნით სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და პასუხად მიიღეს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული პრიორიტეტების საფუძველზე, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, სამოქმედო გეგმაში, ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნება სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურული საკითხის განხილვა.

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი; სააქტო დარბაზი; ბიბლიოთეკა; კომპიუტერული ლაბორატორია. მოსწავლეები სკოლის ბაზაზე ანაზღაურებულ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობებს ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან. ეწყობა ინტელექტუალური თამაშები, ტრენინგები. სკოლის ეზოში ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა პროექტის განხორციელების შედეგ შეგვიძინა ბაღის სკამები და საქანელები. მინი პროექტის ფარგლებში მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა და დამრიგებელმა მოაპირკეთეს საყვავილები და დარგეს ყვავილები, რამაც გააღამაზა სკოლის ეზო და სასიძოვნო გარემო შექმნა ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები
2. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; კომპიუტერებით უზრუნველყოფილია დირექცია, ადმინისტრაცია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა. ადმინისტრაციულ განყოფილებაში განთავსებულია ქსეროქსის აპარატები. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც

აღჭურვილია 13 პერსონალური კომპიუტერით და 2 ლეპტოპით. სკოლას აქვს 2 პროექტორი. სკოლას აქვს მეორე უახლესი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია 16 კომპიუტერით და ყურსასმენებით, სადაც მიმდინარეობს მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების კურსები. საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მასწავლებლებიც საგაკვეთილო პროცესში. სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიულ სარგებლობის წესები. სკოლაში გამოყოფილია 1 ლეპტოპი და ერთი პროექტორი, რომელიც პედაგოგებს შეუძლიათ გაიტანონ საკლასო ოთახში თუ ლაბორატორია დაკავებულია და გამოიყენონ სასწავლო პროცესში. სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში საკომუნიკაციო არხების და სისტემების შესაქმნელად, მშობელთა, საზოგადოების და ყველა დაინტერესებული მხარის სასკოლო ცხოვრებაში ჩასართავად, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ასევე, ტექნოლოგიები გამოიყენება მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზისთვის, საკლუბო მუშაობისთვის, შეხვედრებისა და ტრენინგებისათვის, ელექტრონულ ჟურნალებში სამუშაოდ, სასწავლო აქტივობების განსახორციელებლად, სასწავლო რესურსების გამოყენება-შექმნისთვის, ადმინისტრაციული სისტემების გასაუმჯობესებლად. მაგ: teams-ის პლატფორმაზე შექმნილ ონლაინ ჯგუფებში აქტიურად მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები, არასაკვეთილო პროცესში, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებითი შეხვედრები მოსწავლეებთან და ა.შ. მასწავლებლები ქმნიან სხვადასხვა სახის ელექტრონულ რესურსებს, რომელსაც წარმატებით იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. კომპიუტერებში ხდება მასწავლებლების მიერ მოთხოვნილი ლიცენზირებული პროგრამების ჩაწერა სამინისტროს მიერ მომარგებული აიტი მენეჯერის ვიზიტისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების იფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. მასწავლებლებს და მოსწავლეებს საგაკვეთილო ცხრილის გათვალისწინებით შეუძლიათ შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. მოსწავლეები სარგებლობენ ტექნიკით პრეზენტაციების მოსამზადებლად, ტექსტების ასაკრეფად, ინფორმაციის მოსაძიებლად, ჯგუფური სამუშაოების და პროექტებზე მუშაობის დროს. მასწავლებლები ხშირად ატარებენ გაკვეთილებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. კომპიუტერული ლაბორატორიის მუშაობის განრიგი გამოკრულია ლაბორატორიასთან. მასწავლებლები კომპიუტერებს იყენებენ: სასწავლო მასალების ამოსაბეჭდად, სასწავლო რესურსების და სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტრუმენტების შესაქმნელად, ჟურნალში მონაცემების შესაყვანად, მშობელთა სოციალურ ჯგუფებში ინფორმაციის გასავრცელებლად. საგნობრივი ჯგუფების წევრებს აქვთ შექმნილი ჯგუფები ონლაინ სივრცეში, სადაც ხშირად ხვდებიან ერთმანეთს სიახლეებისა და გამოცდილების გასაზიარებლად. სკოლას აქვს მესენჯერში შექმნილი დახურული ჯგუფი, სადაც მასწავლებლები, დირექცია და ადმინისტრაცია აცნობს ერთმანეთს არსებულ საჭიროებებს და ავრცელებს ინფორმაციას

სხვადასხვა პროფესიული განვითარების კურსების და ტრენინგების, მოსწავლეთა ოლიმპიადების, კონფერენციების, კონკურსების შესახებ. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
2. სკოლის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; სკოლამ წარმოადგინა ელექტრონული საქმისწარმოების წესი; 26/11/ 2020 წლის ბრძანება N 2-88 სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში საქმისწარმოების განსხვავებული წესის დადგენის შესახებ; ბრძანებები ტარდება სპეციალურ ჟურნალებში. სკოლამ წარმოადგინა საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები; ასევე შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები. ჟურნალები არის დანომრილი, დამოწმებული და ინახება საქმისმწარმოებელთან. ყველა შემოსული დოკუმენტი ასევე იტვირთება eflow-ში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - სკოლა იყენებს ზოგადი განათლების საინფორმაციო სისტემას (E-school.emis.ge). სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება, მონაცემები მასწავლებელთა დატვირთვის შესახებ, საათობრივი ბადე, კლასის სიები, დამრიგებლები, საგნების განაწილება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა ვადების და პროცედურების დაცვით წარადგენს ანგარიშებს შესაბამის სტრუქტურებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ გვერდი ([სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები \(emis.ge\)](https://emis.ge)) . იგი ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. სკოლამ წარმოადგინა სოფელ არხილოსკალის საჯარო სკოლაში საინფორმაციო პორტალის მართვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 25/03/2024 N2-17 ბრძანება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფეისბუქ გვერდზე ინფორმაციის სისწორესა და განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 25/03/2024 წლის N2-15 ბრძანება; სოფელ არხილოსკალის საჯარო სკოლაში საინფორმაციო პორტალის მართვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 25/03/2024 N2-17 ბრძანება; ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების მიმდინარეობას და განხორციელებას არის უტყუარი. ინფორმაციის სანდოობას განაპირობებს მტკიცებულებები ფოტო და ვიდეო მასალის სახით. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ყოველთვის შეთანხმებულია დირექციასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ უკუკავშირს იღებს მშობელთა კრებებიდან, სოციალური ქსელიდან, მესენჯერ ჯგუფებიდან. შემდეგ ხდება ამ ყოველივეს გადასინჯვა კლასის დამრიგებლების მიერ. სასკოლო საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული ევროსაბჭოს პროექტში „დემოკრატია იწყება სკოლიდან“, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართული მშობლები. ჩაუტარდათ ტრენინგები სასკოლო ცხოვრებაში აქტიური როლის შესრულების საკითხებზე. მათთან შეთანხმებით დაიგეგმა პროექტი, რომლის შედეგად სკოლას „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტმა შეუძინა ბაღის სკამები და გალამაზდა სკოლის ეზო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ვებ გვერდი ([სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები \(emis.ge\)](https://emis.ge))
2. სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში საინფორმაციო პორტალის მართვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 25/03/2024 N2-17 ბრძანება.
3. სკოლის ფეისბუქ გვერდზე ინფორმაციის სისწორესა და განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 25/03/2024 წლის N2-15 ბრძანება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; სკოლამ წარმოადგინა სკოლის 2024 წლის ბიუჯეტი; დირექტორის ფინანსური ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ, შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ, ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ბიუჯეტი 2024 წელი
2. დირექტორის ანგარიში (ფინანსური და სასწავლო პროცესის)
3. შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ
4. შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ
5. ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლის პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია შინაგანაწესში. მოცემულია შემდეგი რეგულაციები: მოსწავლის წახალისება, მოსწავლის ქცევის წესები, მოსწავლის დიციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, მოსწავლის მიღება/ჩრიცხვის და სტატუსის შეჩერების წესები, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები. სკოლას დამტკიცებული აქვს დეტალური გასაჩივრების პროცედურები. სკოლა იცავს არსებულ რეგულაციებს. მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლებამოსილებებს. დამრიგებელი სასწავლო

წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგ დოკუმენტაციას: სასკოლო კურიკულუმს; სკოლის შინაგანაწესს; მოსწავლის ქცევის კოდექსს; სკოლაში არსებულ მოსწავლეთა შეფასების სისტემას; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის, მშობლისთვის, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას. შინაგანაწესის გაცნობა ხდება სადამრიგებლო საათზე სასწავლო წლის დასაწყისში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სასწავლო დროს, დასვენების დროს, უქმე დღეებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტა და მის მარეგულირებელი კანონმდებლობას, დამატებითი პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი, რომელიც დამტკიცებულია საჯარო სკოლის დირექტორის 01/04/2024 წლის N2-18 ბრძანებით. მასში დაწვრილებითაა გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, მობილობის პროცედურები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადები დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები თავის მხრივ განსაზღვრავენ სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობას. პირველ რიგში რეგისტრირდებიან სსსმ მოსწავლეები. მათთვის გამოყოფილია ადგილების რაოდენობა. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად ელექტრონული რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ასევე რეგისტრაციის ეტაპების ვადები. წესში გაწერილია როგორ ხდება მობილობა. იგი ხორციელდება ელექტრონულად. ასევე სტატუსის შეჩერების, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვის და სხვა რეგულაციები. სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები, საფეხურის დაძლევის მექანიზმი და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. სკოლაში პირველ კლასში მოსწავლეები ჩარიცხულნი არიან კანონმდებლობით განსაზღვრული ასაკიდან; სკოლაში ბავშვი ირიცხება მშობლის განცხადების საფუძველზე. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის დროს იწერება ბრძანება. კლასიდან კლასში გადასვლის, საფეხურის დაძლევაზე ინფორმაცია განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე და იწერება ოქმი. სკოლაში იწერება მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის და სტატუსის შეჩერების ბრძანებები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან სკოლა ხელმძღვანელობს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის რეკომენდაციის გათვალისწინებით. მოსწავლის სტატუსის შეჩერებამდე განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურები. საინფორმაციო სისტემის E-school.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლაში ფუნქციონირებს უფასო კლუბები, წრეები. კლუბების, წრეების შესახებ

ინფორმაცია ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. განხორციელებული აქტივობების ფოტოები გაზიარებულია სკოლის სოციალურ ქსელში. კლუბებსა და წრეებზე დაინტერესებულ მშობელს შეუძლია სკოლას მიმართოს განცხადებით და სკოლიდან მიიღებს შესაბამის წერილობით ინფორმაციას. (რა კლუბებია, რა წრეებია, ვინ არის პასუხისმგებელი, ვისი დაარსებულია, რა პროგრამა აქვს, რა მიზნები აქვს, და სხვა). მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან მოსწავლეების თხოვნით განაახლა მუშაობა ბიოლოგიის და ქიმიის წრეებმა. სკოლაში მოსწავლეები სწავლობენ მეორე უცხო ენას, რაც არის სკოლის ერთ-ერთი მომსახურება, რომელსაც უფასოდ სთავაზობს მოსწავლეებს. ასევე არჩევითი საგნებიც საშუალო საფეხურზე არის სკოლის მომსახურება. მეორე უცხო ენის შესახებ კლასის დამრიგებელი აცნობს მშობლებს ინფორმაციას და შემდეგ მშობლების გადაწყვეტილებას უზიარებს დირექციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში არსებული წრეების, კლუბების და სხვა სერვისების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ინფორმაცია განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და გამქოვეყნებულია სოციალურ ქსელში. თითოეულ კლუბს აქვს თავისი დებულება, პროგრამა, განრიგი და მიზნები, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. მეორე უცხო ენის არჩევასთან დაკავშირებით დამრიგებელი იწვევს მშობელთა კრებას, მიაწვდის ინფორმაციას, მეორე უცხო ენის არჩევასთან დაკავშირებით, მშობლები გამოთქვას ვარაუდებს, სურვილებს. მათი აზრი შეჯერდება და გადაწყვეტილება ფიქსირდება ოქმით. სკოლა მოსწავლეს აძლევს სემესტრული ქულის გამოსწორების, ექსტერნატის წესით კლასის დაძლევის, საშემოდგომო გამოცდით კლასის დაძლევის საშუალებას კანონმდებლობით დადგენილი წესის საშუალებით. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული ფბ გვერდზე და ვებ გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, ამიტომ ყველა ინფორმაცია არის სანდო, კანონმდებლობასთან შესაბამისი და გადამოწმებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი (01/04/2024 წლის N2-18 ბრძანება)
2. ბრძანება პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ

3. ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ
4. კლუბების მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
5. E-school.emis.ge-ის ბაზის გადამოწმება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი; მექანიზმი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 11/04/2024 წლის N2-24 ბრძანებით. ადაპტაციის მექანიზმში გაწერილია პირველკლასელთა ადაპტაციის, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციის, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; სკოლაში მოსწავლეებს ხვდება ისეთი ფიზიკური გარემო, რომელიც უმარტივეს ადაპტაციას. პირველ კლასში მოსულ მოსწავლეს სკოლაში ხვდება შესაბამისი ასაკის და ფიზიკური განვითარების მერხი და სკამი. სკოლა პირველკლასელი მოსწავლეების ადაპტაციისთვის ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. სკოლაში პირველკლასელებისთვის სასწავლო წლის პირველ დღეს ეწყობა სადღესასწაულო შეხვედრა, დირექცია საზეიმოდ გადასცემს მოსწავლეებს ბუქებს, მასწავლებელი აცნობს სკოლის გარემოს, მასწავლებლებს, თანაკლასელებს. სკოლა ეხმარება ადაპტაციაში მოსწავლეს სხვა სკოლიდან გადმოსვლის დროს. ხდება მშობელთან, ბავშვთან შეხვედრა, ინფორმაციის მიღება, სკოლის, კონკრეტული კლასის, მასწავლებლების და თანატოლების გაცნობა. ბაგა-ბაღიდან პირველ კლასში ბავშვის მოსვლამდე სკოლის მასწავლებელი ამყარებს კომუნიკაციას ბავშვის პერსონალთან, მენეჯერთან და მშობლებთან. სკოლა თემს აწვდის ინფორმაციას პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მასწავლებლები უწევენ მოსწავლეებს სათანადო კონსულტაციას წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესში ჩართულნი არიან მოსწავლეთა მშობლები და მათი კანონიერი წარმომადგენლები. მშობლებისთვის ხელმისაწვდომია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები. დამრიგებელი წერილობითი ფორმით ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ატყობინებს მშობელს მოსწავლის მიღწევების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; მოსწავლეთა მიმდინარე

სასწავლო წელს თვითმმართველობის თავმჯდომარემ დირექტორს მიმართა განცხადებით საგაზაფხულო ღონისძიების ჩატარების ინიციატივით. დირექტორმა ბრძანებით განსაზღვრავს მასწავლებლებს, რომლებიც დაეხმარებიან მათ კონცერტის დაგეგმვასა და წარმართვაში, გამოუყოფს დროს და რესურსებს კონცერტის მოსამზადებლად. სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, ნორჩ ისტორიკოსთა კლუბი, ასევე ქიმიის და ბიოლოგიის წრეები, რომლებიც მოსწავლეთა სურვილით შეიქმნა და აქტიურად არიან ჩართულები. მუშაობის გრაფიკი ისე გაწერილი, რომ არ ემთხვევა მეცადინეოები ერთმანეთს. ასევე საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ფუნქციონირებს პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი კურსები: „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ და “ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება ღია და დახურულ გრუნტში”, სადაც მოსწავლეები თავისი ინტერესების შებამისად ღებულობენ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას. ბოლოს კოლეჯმა გადასცა შესაბამისი სერტიფიკატები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლა მშობლების მხრიდან პოზიტიურ და ნეგატიურ ინფორმაციას, უკუკავშირს იღებს მშობელთა კრებებიდან ან ინდივიდუალური განცხადების საშუალებით და ზეპირსიტყვიერად. ასევე ონლაინ ჟურნალის საშუალებით. სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან მეტად გააფართოვებს მშობელთა და მოსწავლეთა მხრიდან ინფორმაციის მიღების გზებს. შეიმუშავებს მრავალფეროვან კითხვარებს და შექმნის სასკოლო საზოგადოების სურვილებისა და მოთხოვნების ბაზას შემდგომი რეაგირების მიზნით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; მექანიზმი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 11/04/2024 წლის N2-24 ბრძანებით.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2016 წლიდან სკოლაში მოქმედებს „მოსწავლეთა შრომითი უნარების განვითარების პროგრამა“, სადაც საბაზო საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობს „დეკორატიული ქსოვილების ხელოვნების“ შესწავლას. კერძოდ: თექა, გობელენი, მოჩითვა, აპლიკაციების გადატანა ქსოვილზე და სხვა. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები კოლეჯ „აისთან“. კურსის დასრულებისას მოსწავლეებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები, ჩატარდა ექსკურსიები კოლეჯ „აისში“, სადაც დაწვრილებით გაეცნენ ბავშვები კოლეჯის ინფრასტრუქტურას და სასწავლო პროგრამებს. ამჟამად სკოლაში ინერგება კოლეჯის პროგრამები და სკოლის ბაზაზე მოხდება პროფესიული განათლების განხორციელება. ეს პროექტი გაეროს მიერ იყო დაფინანსებული. მათ მიერ შეიქმნა გეგმა. სკოლა თანამშრომლობს უნარების სააგენტოსთან, დაგეგმილია 2 ძირითადი კურსის განხორციელება: IT- ტექნოლოგიები და „დეკორატიული ქსოვილების ხელოვნება“. ამჟამად საშუალო საფეხურის მოსწავლეები გადიან მოკლევადიან გადამზადების პროგრამებს, რომელსაც აფინანსებს კოლეჯი „აისი“. ესენია IT- ტექნოლოგიები და „ჩითილების გამოყვანა ღია და დახურულ გრუნტში“. მიმდინარეობს სათბურის მონტაჟი სკოლის ეზოში. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ეძლევათ კოლეჯის სერტიფიკატი. სკოლა ახორციელებს მოსწავლეების ვიზიტებს სხვადასხვა დაწესებულებებში, მაგალითად პოლიციის განყოფილებაში, კოლეჯ „აისში“, სოფლის მდებარე ფერმაში, ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში გასულ სასწავლო წელს პროფესიული ორიენტაციის მიზნით ეკოკლუბის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა სოფლის ექიმთან. ბავშვებმა დაუსვეს ბევრი საინტერესო კითხვა და ისაუბრეს პროფესიის სხვადასხვა მხარეზე. სკოლას გასულ წელს და მიმდინარე სასწავლო წელს ეწვივნენ თავდაცვის აკადემიის ოფიცრები და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს გააცნეს თავდაცვის ძალებში მოხვედრის გზები, პროფესიის შეძენის ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; დამრიგებლები კლასის საათზე აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის დასრულების შემდგომ სწავლის გაგრძელების პერსპექტივებთან დაკავშირებით. სკოლის დირექცია აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას უმაღლესი სასწავლებლის მიერ შემოთავაზებული ღია კარის დღეების თაობაზე. სკოლა სოციალურ ქსელში აქვეყნებს ინფორმაციას კოლეჯის მიღების პირობებს, სპეციალობებს, ფილიალებს და სხვა ინფორმაციას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღება პროფესიული ორიენტაციის შესახებ ხდება ვერბალურად, სატელეფონო კომუნიკაციით, ასევე სოციალური ქსელით. კლასის დამრიგებლები სკოლადამთავრებულ მოსწავლეებთან ამყარებენ კომუნიკაციას და ღებულობენ ინფორმაციას სკოლის შემდგომი განათლების, არჩეული პროფესიის შესახებ. სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურსდამთავრებულების მოპატიჟებას, თავიანთი გამოცდილების გაზიარებას საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის, რაც გაზრდის მოსწავლის მოტივაციას. 2023/2024 სასწავლო წლის ბოლოს სკოლამ გააკეთა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მიღებული შედეგები გათვალისწინებული იქნება 2024/2025 სასწავლო წელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის დროს გამოყენებული კითხვარი/შედეგები
2. კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმი
3. საორიენტაციო კურსის მოკლე აღწერა
4. ევროსაბჭოს პროექტით განხორციელებული აქტივობების გეგმა
5. სოციალური ქსელის/ვებ გვერდის დათვალიერების შედეგად მიღებულ ინფორმაცია

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ინკლუზიურ განათლებას. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია აქტივობები, შინაარსი, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების დრო. სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში სკოლის დირექტორის

ბრძანებით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფები, ასევე წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის გამოვლენისთანავე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასება ხდება სასწავლო წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს გამოვლენილი საჭიროებისამებრ. ისე ჯგუფის სხდომები ტარდება წელიწადში 4-ჯერ და დამატებით როდესაც არის განსაკუთრებული საჭიროება. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები ვერბალურად და წერილობით ახორციელებენ სსსმ მოსწავლის მშობლებთან კონსულტირებას. სპეციალური მასწავლებლი უზრუნველყოფს მასწავლებლების კონსულტირებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლი ადგენენ სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სპეციალური მასწავლებლები უზრუნველყოფენ მასწავლებლის კონსულტირებას სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით, ასევე სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სასკოლო საზოგადოება ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. კლასის დამრიგებელი და სპეციალური მასწავლებელი უზრუნველყოფენ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას. დამრიგებლები, მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები ზრუნავენ სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე. სკოლას შემუშავებული აქვს ადაპტაციის წესი, რომელსაც მე-5 მუხლი ეძღვნება სსსმ მოსწავლის ადაპტაციას გაწერილია სსსმ სასკოლო გარემოში, თუ მობილობით გადმოვა ის სხვა სკოლიდან ან შემოვა პირველ კლასში. დამრიგებელი და სპეციალური მასწავლებელი სსსმ მოსწავლის მიღწევებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებას ახდენენ ვერბალურად და წერილობით, ასევე ითვალისწინებენ მშობლის უკუკავშირს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეული შედეგების განხილვას, გამოწვევების, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი. სკოლის დირექტორი ამტკიცებს ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესს და შეაქვს ცვლილება საჭიროების შემთხვევაში. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი მონიტორინგს უწევს სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესს და ასახავს დასკვნაში. სკოლა ბიუჯეტში ითვალისწინებს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით შესაბამის თანხებს. სსსმ მოსწავლეების საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებითაა აღჭურვილი რესურს ოთახი მრავალფეროვანი, განმავითარებელი რესურსით, კომპიუტერით, პრინტერით, ავეჯით და წიგნებით. რესურს ოთახში მიმდინარეობს მუშაობა ინდივიდუალური განრიგის და მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლის სწავლის სირთულის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით. სკოლა თანამშრომლობს განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდთან და სსსმ მოსწავლეების ხარისხიან განათლებას უზრუნველყოფს მათი რეკომენდაციის საფუძველზე. სკოლაში სსსმ მოსწავლის სტატუსის მოხსნა ხდება მშობლის სურვილისა და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლაში სწავლობს 4 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. მათი სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლაში მუშაობს სპეციალური მასწავლებლი. მოსწავლესთან სამუშაოდ სკოლაში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი. სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში დირექტორის ბრძანებით დგება და მტკიცდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი, რომელშიც შედიან სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრებზე იწერება ოქმი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორი არის კლასის დამრიგებელი. სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სწავლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში და სემესტრის მიმდინარეობისას იდენტიფიცირებული მოსწავლისთვის 1 თვის ვადაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას ხდება მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინება. საგნის მასწავლებელი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში წერს სსსმ მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერას, შემდეგ გრძელვადიან მიზნებს და ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებას. სკოლას აქვს გამოცდილება კონკრეტულ სსსმ მოსწავლესთან, როდესაც საგნის მასწავლებელი შეფასების საფუძველზე თვლის, რომ მოსწავლე მის საგანში არ საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, მასწავლებელი ადასტურებს წერილობით. მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს აფასებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი კომენტარით. სპეციალური მასწავლებელი სსსმ მოსწავლის შეფასების საფუძველზე წერს, ახორციელებს ინტერვენციის გეგმას და აკეთებს მოსწავლის პროგრესის შეფასებას. სპეციალური მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებენ სკოლის თანამშრომლებთან, სსსმ მოსწავლის საჭიროების მიხედვით იძლევა როგორც ზეპირ, ასევე წერილობით რეკომენდაციებს. სკოლაში დაცულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების კონფიდენციალობა. რესურს ოთახში კედელზე მოთავსებულ ინდივიდუალურ განრიგზე და მოსწავლეების პირად ყუთზე აწერია ინიციალები. სსსმ მოსწავლის მშობელთან აქტიური კომუნიკაცია აქვს კლასის დამრიგებელს და სპეციალურ მასწავლებელს. მშობელთან კომუნიკაციის დამყარება ხდება ტელეფონით, სოციალური ქსელით და თიშის საშუალებით. საჭიროების გათვალისწინებით მშობელთან ეწყობა ინდივიდუალური შეხვედრა, წარმატებებისა და სირთულეების დაძლევის გზების გაზიარება. მოსწავლის სწავლების შედეგები მშობელს მიეწოდება ზეპირად და წერილობით. სკოლის დირექტორი წერს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანებას, რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლის ის მასწავლებლები, რომლებიც სსსმ მოსწავლეს არ ასწავლიან. სკოლაში წერილობით შემუშავდება ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა, რაც იგზავნება განათლების სამინისტროში. სსსმ მოსწავლეები ჩართულები არიან როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ განათლებაში. თანაკლასელებთან ერთად მონაწილეობენ სპორტულ ღონისძიებებში, დადიან წრეებზე, ექსკურსიაზე. სკოლაში ცნობიერების ამაღლების კუთხით ტარდება სხვადასხვა სახის

აქტივობები. კერძოდ, 2024 წლის 21 მარტს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს, სპეციალური მასწავლებლის ორგანიზებით მისმა სადამრიგებლო მე-9 კლასის მოსწავლეებმა სკოლის თემს წარუდგინეს პრეზენტაციები თემაზე „დაუნის სინდრომით დაავადებული წარმატებული ადამიანები“, შექმნეს პლაკატი თემაზე „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“. ასევე 2023 წლის 2 აპრილს - აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეს შედგა ფილმის ჩვენება, ცნობილი ადამიანების წარმატების გაზიარება, მოსწავლეების მონაწილეობით გაკეთდა და დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ
2. ისგ-გეგმა
3. მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
4. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

- შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტირების სერვისს. სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას დაცულია უსაფრთხოება. სკოლაში გამოყოფილია ადამიანი, ვინც პაუზისმგებელია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, მოსწავლეთა წყევანისა და მოყვანის აღრიცხვაზე. სკოლაში ივსება ტაბელი განხორციელებული განრიგის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
- სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
- სკოლაში ტარდება ღონისძიებები უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას სპორტულ აქტივობებში და ღონისძიებებში. “ბოლო ზარის” ღონისძიებების განხორციელების დროს სკოლა თანამშრომლობს პოლიციასთან მოსწავლეების უსაფრთხოების დაცვის მიზნით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტანსპორტის ტაბელი
- ბრძანება N1/კ-10-ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“ იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5¹) **ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისია**

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის რჩევა: წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ზოგადი სახისაა და მრავლად შეიცავს გზამკვლევის ტიპის ინფორმაციას (მაგალითად მეორე მუხლის მეორე პუნქტი, მესამე და მეოთხე მუხლები, ტექსტის შენიშვნები და ა.შ). მნიშვნელოვანია დოკუმენტი მოერგოს კონკრეტული სკოლის საჭიროებას, კერძოდ 2.1.1.1. ინდიკატორის საჭიროებისათვის სასურველია დაკონკრეტდეს ნაბიჯები და ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესწავლა, აგრეთვე განისაზღვროს პროცესებზე პასუხისმგებელი პირები;

2. სკოლას დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5¹) **ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისია**

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის რჩევა: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში განისაზღვროს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მოსწავლეების და მშობლების ჩართულობის გზები, მათი მოვალეობები/პასუხისმგებლობები.

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5¹) **ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისია**

4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5¹) **ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისია**

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის რჩევა: კურიკულუმის დანერგვის ყველა ეტაპზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა გაზრდის მიკუთვნებულობის განცდას. მაგალითად სასურველი იქნება დაკონკრეტდეს რა გზებით და პერიოდულობით ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, უკუკავშირის მიწოდება, დაკონკრეტდეს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტრუმენტები(მაგ. ინტერვიუ, ფოკუს - ჯგუფი, ანკეტირება პერიოდულობისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება #2-70(25/07/2024) - სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 აპრილის N 2 – 25 ბრძანებაში „სკოლაში კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე(კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სკოლაში დამატებით წარმოდგენილი მასალა);
2. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24(დამატებით წარმოდგენილი მასალა)
3. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები(დამატებით წარმოდგენილი მასალა)
4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. **სახელმწიფო ენის ექსპერტის დასკვნით** V კლასის კურიკულუმი წარმოადგენს თვეების მიხედვით გაწერილი ტექსტების ცხრილს, ხოლო კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია ძველი სამიზნე ცნებებითა და შედეგებით. VI - კლასის კურიკულუმში გამოყენებულია საბაზო საფეხურის ცნებები და შედეგები. ძირითად რესურსად მითითებულია სახელმძღვანელო როდონაიას, ნაკუდაშვილის, არაბულისა და ხუციშვილის ავტორობით, რეალურად კურიკულუმი ეყრდნობა ჩხენკელის, კუხიანიძისა და გორდეღაძის სახელმძღვანელოს. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამ შემთხვევაშიც ამუშავებს ძველ სამიზნე ცნებებს. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 17/11/2023 წლის N 124/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ესთეტიკური აღზრდის საგნების ექსპერტის დასკვნით, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების I-IV კლასების კურიკულუმებში ასახულია მხოლოდ 1 კომპლექსური დავალება, რაც ვერ უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროდუქტიულ პროცესს, არ მისცემს მასწავლებელს საშუალებას ეფექტიანად გაზომოს მოსწავლის განვითარება საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის მიმართულებით. (იხილეთ ხარისხის ექსპერტის და საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5¹ და 5²).

სკოლა შესაბამისობის გეგმით აცხადებს, რომ 2024 წლის 16 სექტემბრამდე სკოლა კურიკულუმს დააკორექტირებს.

ინდიკატორი 2.1.2.1 მეტწილ შესაბამისობაშია.

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის რჩევა: სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილში განისაზღვროს სიღრმისეული სწავლების სკოლისეული ხედვა(მაგალითად ორიენტაცია დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებაზე, სასწავლო მასალის ცხოვრებისეულ მოვლენებთან კავშირზე აქცენტი, მრავალფეროვანი ტიპის აქტივობები, საგანთაშორისი კავშირები, მოსწავლის ინდივიდუალურობა აღიარება, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების

განვითარება და ა.შ). ასეთი ხედვის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს პედაგოგებს უკეთ გაიაზრონ სკოლის მოთხოვნები და ასახონ ისინი საგნობრივ კურიკულუმებში.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს აქვს ორი განსხვავებული სახის დიზაინი. ორივე მათგანში იკითხება სტანდარტთან მიმართება, შემაჯამებელი სამუშაო, შეფასების კრიტერიუმები, თუმცა, სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდის მიზნით, უფრო ეფექტიანი იქნება კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის იმ ფორმაზე, რომელშიც ნათლად იკეთება თემატური ბლოკი, თემა, საკითხი, სამიზნე ცნება, ქვეცნება, კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევა: სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს საგნობრივი კურიკულუმი კლასების მიხედვით ცალ-ცალკე. თითოეულ საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყოს სკოლის სრული დასახელება; საგანი; კლასი; სასწავლო წელი, საათობრივი განაწილება. სასურველია კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს სტრუქტურაზე. კომპლექსური დავალებებით დამუშავდეს სხვადასხვა ცნება. მაგ: მე-3 და მე-4 კლასის მე და საზოგადოებაში მხოლოდ ერთი ცნება დამუშავდა). სასურველია, საგნობრივი კურიკულუმში კომპონენტი „კომპლექსური დავალების იდეა“ - იდეის განსახორციელებლად საჭირო საკითხს (კომპლექსური დავალების პირობა ბარათში იყოს განთავსებული). სასურველია კურიკულუმის ყველა სვეტი იყოს შევსებული (2023-2024 სასწ წლის-უკვე განხორციელებული).

ტექნოლოგიების ექსპერტის რჩევით: სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს საგნობრივი კურიკულუმი კლასების მიხედვით ცალ-ცალკე. თითოეულ საგნობრივ კურიკულუმში მითითებული უნდა იყოს (იგულისხმება სკოლის სრული დასახელება), კლასი, საგანი, მასწავლებელი/მასწავლებლები, სასწავლო წელი; სასურველია, საგნობრივი კურიკულუმში კომპონენტი „სამიზნე ცნება/ქვეცნება“ მოიცავდეს მხოლოდ სამიზნე ცნებასა და ქვეცნებას, ხოლო კომპონენტი „საკითხი/საკითხები“ - მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეის განსახორციელებლად საჭირო საკითხს ან შესაბამის საკითხთა კლასტერს . მაგ.

II კლასი:

კომპონენტი „სამიზნე ცნება/ქვეცნება“ :

პირობითი ნიშნები

პირობითი ნიშნები ჩვენს ირგვლივ;

ვიზუალური პროგრამირება;

პირობითი ნიშნები კომპიუტერულ პროგრამებში

კომპონენტი „საკითხი/საკითხები“:

პირობითი ნიშნების შემუშავება და მათი საშუალებით ინფორმაციის გადაცემა; პირობითი ნიშნების საშუალებით ბრძანებების გადაცემა და მიღებული ბრძანებების თანამიმდევრული შესრულება.

უცხოური ენების ექსპერტის რჩევით: გასათვალისწინებელია, რომ კურიკულუმში აისახოს სტანდარტით განსაზღვრული ყველა თემა, თემაში დამუშავდეს ყველა ცნება და კომპლექსური დავალებები დააფუძნდეს კონტექსტ-მაგალითებზე.

2. ექსპერტთა შეფასებით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს (იხილეთ ხარისხის ექსპერტის და საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5¹ და 5²) .**ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია .**

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის რჩევა: საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადად ჩანს ესგ-თი განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტაცია. სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილში აღიწეროს საგნობრივი ჯგუფის მიზნები/კომპეტენციები, რაც იქნება საერთო ორიენტირი საგნობრივი კათედრებისთვის კურიკულუმის შემუშავებისა და რევიზიის დროს.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: ყველა კლასის კურიკულუმში აისახოს ყოველი თემის შესწავლის შედეგად მიღწეული შუალედური მიზნის წარმოდგენის შემოქმედებითი პროდუქტი ან კომპლექსური სახის შეაჯამებელი დავალება.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტის რჩევით, სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა; სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა

უცხოური ენების ექსპერტის რჩევით: სასურველია, საათობრივი დატვირთვა მიეთითოს კურიკულუმში. კერძოდ, დოკუმენტის ქუდში წლიური, ხოლო თემებთან -თითოეული თემის. აგრეთვე სასურველია, უფრო მრავალფეროვანი აქტივობების მითითება, უცხო ენების სპეციფიკა იძლევა ამის საშუალებას

3. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმებიდანართები 5²) **ინდიკატორი**

2.1.2.3 შესაბამისობაშია

4. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. (იხილეთ ხარისხის ექსპერტის და საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმებიდანართები 5¹ და 5²). **ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია**

5. **სახელმწიფო ენის ექსპერტის დასკვნით**, სკოლას V-VI კლასებისთვის არ წარმოუდგენია არც ერთი დოკუმენტი, რომელიც წარმოგვიდგენდა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკას ან შეფასების ნიმუშს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „შეფასების რუბრიკები ქართულში“ არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც უკვე ძალადაკარგულია და არ ითვალისწინებს სამიზნე ცნებებს. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმებიდანართები 5²)

სკოლა შესაბამისობის გეგმით აცხადებს, რომ 2024 წლის 16 სექტემბრამდე შექმნის შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი 2.1.2.5 მეტწილ შესაბამისობაშია.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ექსპერტის რჩევა: სასურველია დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკები გაიწეროს შერჩეული სპორტის სახეობების შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24
3. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები
4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
5. დანართი #63-ბრძანება# 2-43 ისგ-ს შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
6. დანართი #65-არხილოსკალო-ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა;
7. დანართი # 102-მშობლის კითხვარი;
8. მუსიკის შემაჯამებელი დავალების ანალიზი, მე-6-მე-9 კლასი;
9. შეფასების რუბრიკები;
10. საგნობრივი კათედრების ოქმები
11. მასწავლებელთა რეფლექსიები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტების შეფასებისით, სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
(იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5²)

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევით: გასასწორებელია I-IV კლასების კურიკულუმებში ქვეცნებები და ქვესაკითხები; IV კლასის კურიკულუმში სასწავლო რესურსები მხოლოდ შუალედური სასწავლო მიზნის დავალებისთვისაა მითითებული; მესამე კლასში უნდა მუშავდებოდეს ცნება პრაქტიკული გრამატიკა, დანართად წარმოდგენილ პირველი კლასის ბარათში გაპარულია სინტაქსი.

2. ინდიკატორი 2.2.1.2 მიმდინარე წარმოების ფარგლებში არ ფასდება;

3. სახელმწიფო ენის ექსპერტის დასკვნით, ინდიკატორი 2.2.1.3 - სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, მაგრამ ვინაიდან არ წარმოდგენია არც ერთი სხვა დოკუმენტი, გარდა შეფასების რუბრიკებისა, რომლებიც არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, შესაბამისად, არ ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებს.

(იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5²)

სკოლის დირექცია შესაბამისობის გეგმით აცხადებს, რომ 2024 წლის 16 სექტემბრამდე დააკორექტირებს კურიკულუმს და შეფასების რუბრიკებს ექსპერტის რეკომენდაციების მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5¹) ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

ხარისხის ექსპერტის რჩევით: წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ზოგადი სახისაა და დამუშავებას საჭიროებს. მაგალითად, მიზანშეწონილია დოკუმენტში განისაზღვროს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირები და მათი მოვალეობები, რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით ვერიფიკაციის ობიექტის შერჩევის მექანიზმი, ვერიფიკაციის

პროცედურები და ინსტრუმენტები, ვერიფიკაციის მიმართულებები, როგორ ხდება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, როცა სკოლაში შესაბამისი სპეციალობის ერთი კადრია და ა.შ.

5. ინდიკატორი 2.2.1.5. არ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24
3. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები
4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
5. დანართი #63-ბრძანება# 2-43 ისგ-ს შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
6. დანართი #65-არხილოსკალო-ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა;
7. დანართი # 102-მშობლის კითხვარი;
8. მუსიკის შემაჯამებელი დავალების ანალიზი, მე-6-მე-9 კლასი;
9. შეფასების ვერიფიკაციის წესი;
10. შეფასების რუბრიკები;
11. საგნობრივი კათედრების ოქმები
12. მასწავლებელთა რეფლექსიები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი მიმდინარე წარმოების ფარგლებში არ ფასდება.
 2. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5²)
- ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია.

3. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5²) **ინდიკატორი**

2.2.2.3 შესაბამისობაშია

4. სკოლას არ ჰყავს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის განხორციელებისთვის შესაბამისი კვალიფიციური კადრი.

(იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5²)
სკოლის დირექცია შესაბამისობის გეგმით აცხადებს, რომ 2024 წლის 16 სექტემბრამდე უზრუნველყოფს სკოლას კანონმდებლობის შესაბამისი მასწავლებლებით.

ინდიკატორი 2.2.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24
3. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები
4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი 2.3.1.1. არ ფასდება.
2. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5¹)

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია

3. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5¹)

ინდიკატორი 2.3.1.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24
3. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები
4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
